ოქმი:ო63. 63233042
თარიღი:31/10/2023

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N8

ქ.სამტრედია 31 ოქტომბერი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

დღის წესრიგი:

1. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 10 ოქტომბრის N39 სხდომის ოქმიდან ამონაწერის შესახებ.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N01/2144 წერილობითი მომართვა.

ირაკლი მელაშვილი - მომართვაში წარმოდგენილია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის

მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმი N39-დან ამონაწერი. სხდომაზე განხილულ იქნა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართვა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში N21 ქუჩისათვის ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების თაობაზე. სამთავრობო კომისიის წევრებმა მოსაზრება დააფიქსირეს და დაადგინეს, რომ გაიცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში N21 ქუჩას მიენიჭოს ირაკლი ანდრიაძის სახელი.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (9) ხმით, ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი